საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №207

ქ. თბილისი "24" 03 2006 წ.

შპს „მ.ჯ.თ ოილ კომპანი"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის, 1 სექტემბრის №154 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-2 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „მ.ჯ.თ ოილ კომპანი"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – მის დაქვემდებარებაში მყოფი ნავთობბაზის ტევადობით 6,5 ათასი კუბ.მ საქმიანობაზე;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
3. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №51; 01.03.06წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის ირაკლი კვაშილავას მოხსენებითი ბარათი

მინისტრი გ. პაპუ-შვილი